

დამტკიცებულია თსსუ-ის აკადემიური საბჭოს  
2020 წლის 09 მარტის №24/12 დადგენილებით

საჯარო სამართლის იურიდიული პირის - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო  
უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს დადგენილება თსსუ-ის აკადემიური საბჭოს 2012 წლის  
07 მაისის N24/5 დადგენილებით დამტკიცებულ „თბილისის სახელმწიფო სამედიცინო  
უნივერსიტეტის სტომატოლოგიის ფაკულტეტის დოქტორანტურის შესახებ  
დებულებაში“  
ცვლილების შეტანის თაობაზე:

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლის, საქართველოს  
ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის, თსსუ-ის წესდების მე-8 მუხლის  
საფუძველზე:

მუხლი 1. შეტანილ იქნეს ცვლილება „თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის  
მედიცინის ფაკულტეტის დოქტორანტურის შესახებ დებულების“

1. მე-2 მუხლის მე-7 პუნქტში და ჩამოყალიბდეს შემდეგნაირად:

„7.ფაკულტეტის დეკანი წინამდებარე დებულების გათვალისწინებით მომზადებულ  
სადოქტორო კვლევის პროგრამას, ექსპერტიზისა და ეთიკური შეფასების მასალებთან  
ერთად, წარუდგენს ფაკულტეტის საბჭოს. დადებითი დასკვნისა და მეცნიერების  
მიმართულებით ვიცე-რექტორის ვიზირების შემდეგ პროგრამა დასამტკიცებლად გადაეცემა  
აკადემიურ საბჭოს. აკადემიური საბჭო ამტკიცებს სადოქტორო კვლევის პროგრამას და მის  
ხელმძღვანელს“.

2. მე-5 მუხლის:

1. პირველ პუნქტში და ჩამოყალიბდეს შემდეგნაირად:

„1. დოქტორანტურაში სწავლის ვადა განისაზღვრება 6 (ექვსი) სემესტრით და მოიცავს 180  
კრედიტს; დოქტორანტურაში ჩარიცხვიდან ექვსი სემესტრის გასვლის შემდეგ,  
დოქტორანტის მიერ სწავლისა და კვლევის პროცესის დაუსრულებლობის შემთხვევაში,  
დოქტორანტის სამეცნიერო ხელმძღვანელს უფლება აქვს სწავლის/კვლევის პროცესის  
გაგრძელების მიზანშეწონილობის შესახებ დასაბუთებული შუამდგომლობით მიმართოს  
ფაკულტეტის საბჭოს. შუამდგომლობა იმ შემთხვევაში ჩაითვლება დასაბუთებულად, თუ  
მას თან ერთვის:

ა) ინფორმაცია დოქტორანტის მიერ სასწავლო კომპონენტის დასრულებისა და კრედიტების  
მოპოვების შესახებ;

ბ) დოქტორანტურაში სწავლის პერიოდში წარმოდგენილი ყოველწლიური ანგარიშების  
ასლები, დამოწმებული სამეცნიერო მუშაობის კოორდინაციის, მაგისტრატურისა და  
დოქტორანტურის სამსახურის მიერ;

გ) შესრულებული უნდა ჰქონდეს სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტის - სადისერტაციო  
ნაშრომის, ორი მესამედი მაინც.“

2. დაემატოს 1<sup>1</sup> პუნქტი და ჩამოყალიბდეს შემდეგნაირად:

„1<sup>1</sup>. ფაკულტეტის საბჭო იღებს გადაწყვეტილებას დოქტორანტისათვის სემესტრების რაოდენობის განსაზღვრის შესახებ, მაგრამ არა უმეტეს 4 სასწავლო სემესტრისა. საბჭოს გადაწყვეტილება წარედგინება რექტორს ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოსაცემად.“

3. მე-16 პუნქტიდან ამოღებულ იქნეს “შენიშვნა“.

4. დაემატოს მე-5<sup>1</sup> მუხლი და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

**„მუხლი 5<sup>1</sup>. დოქტორანტის სტატუსის შეჩერება და შეწყვეტა**

1. დოქტორანტის სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის საფუძვლები განსაზღვრულია თსსუ-ის წესდებით.

2. თსსუ-ის წესდების 33-ე მუხლის მე-10 პუნქტით განსაზღვრულის გარდა, დოქტორანტს სტატუსი შეუწყდება შემდეგ შემთხვევებში:

ა) პლაგიატის ან მონაცემების გაყალბების შემთხვევაში;

ბ) დოქტორანტის მიერ სწავლისა და კვლევის პროცესის ვადაში დაუსრულებლობის შემთხვევაში.“

მუხლი 2. დადგენილება ამოქმედდეს დამტკიცებისთანავე.